ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა
საკონსკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №1

დაბა ქედა 25 აპრილი 2019 წელი

სხდომის დასაწყისი 11:00 სა-ზე;
სხდომის დასასრული 13:00 სა-ზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე

სხდომას ესწრებოდნენ :

საკონკურსო კომისიის წევრები: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, - სულიკო ჩხიკვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, კომისიის წევრი - ლია ბოლქვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარე, კომისიის წევრი - სოფიო ხაბაზი

ააიპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი - კომისიის წევრი დავით ანანიძე

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი - დავით ანანიძე, ააიპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი

კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და გრაფიკის განსაზღვრა.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობაზე დახურული კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 04 აპრილის №40 ბრძანებით დახურული კონკურსი გამოცხადდა მეორე რანგის თანამდებობაზე:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატთა შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

ასევე მანვე განმარტა, რომ კომისიამ სხდომაზე უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ჩასატარებელი კონკურსის პროგრამის, ფორმის, პირობების, კონკურსის ეტაპისათვის დასაგროვებელი აუცილებელ ქულათა რაოდენობის დადგენის, ასევე საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კონკურსი უნდა ჩატარდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და აქედან გამომდინარე სხდომას წარუდგინა მოსაზრება **დახურული კონკურსის** თითეული ეტაპის ჩატარების შესახებ, რომელიც ჩამოაყალიბა შემდეგი სახით, კერძოდ: **პირველი ეტაპი-განცხადებების გადარჩევა** განხორციელდეს კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, მეორე ეტაპი **შეფასება: ზეპირი დავალება** - სამართლებრივი აქტების ცოდნისა და **გასაუბრება** - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნის შემოწმების მიზნით. **მესამე ეტაპი** კონკურსის შედეგების გამოცხადება.

კომისიამ აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობისას კონკურსანტებს განცხადების შესატანად მიეცემათ 10 კალენდარული დღე, კანდიდატს შეეძლება განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე. აუცილებელია, რომ კონკურსატმა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) ატვირთოს სათანადო განათლების/კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. აღნიშნული დოკუმენტების ატვირთვა უნდა იყოს სავალდებულო, რომლის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, კონკურსანტის განაცხადი არ იქნეს განხილული კონკურსის პირველ ეტაპზე.

აზრი გამოთქვეს კომისიის სხვა წევრებმაც და განაცხადეს, რომ განცხადებების გადარჩევა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

კომისიამ გადაწყვიტა:

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დახურული კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 აპრილის №40 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ მეორე რანგის თანამდებობაზე - **საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის პოზიციაზე დახურული კონკურსი ჩატარდეს შემდეგ ეტაპად:**

ა) **განცხადებების გადარჩევა,** წარმოდგენილი განცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და საკონკურსო კომისია.

ბ)შეფასება: ზეპირი დავალების მეთოდით, რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისია, ოქმზე თანდართული დანართი №1-ით შესაბამისი პოზიციისათვის განსაზღვრული საკონკურსო თემატიკიდან და **გასაუბრება,** რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისია.

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ამ ოქმზე თანდართული (დანართი №1) ინფორმაციის საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განთავსება.

4. კონკურსში მონაწილეობის პრეტენდენტებისათვის საბუთების წარდგენის ვადა განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების დღიდან (www.hr.gov.ge-ზე გამოქვეყნების დღე) არანაკლებ 10 კალენდარული დღის ვადით. საბუთების მიღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge).

5. გადარჩევის ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა მოხდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

6. კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება და იგი მოიხსნება კონკურსის გადარჩევის ეტაპიდან თუკი საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე www.hr.gov.ge არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტებს, კერძოდ:

ა) შესაბამისი უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ) შრომის წიგნაკს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით (იმ ვაკანტურ თანამდებობებზე, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია სამუშაო გამოცდილება).

7. განცხადებების გადარჩევა განხორციელდეს განაცხადების მიღების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

8. კონკურსის **შეფასების ეტაპზე** დაიშვებიან მხოლოდ იმ კონკურსანტებს, რომლებიც გადარჩევის ეტაპზე, განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

9. **გასაუბრებაზე** დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც გადალახავენ კონკურსის შეფასების ეტაპისათვის (მეორე რანგის თანამდებობისათვის-ზეპირი დავალება) დადგენილ მინიმალურ (min) ბარიერს.

10. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის" მისამართად განისაზღვროს: ქედა, დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. №3 (მერიის ადმინისტრაციული შენობა).

11. განისაზღვროს კონკურსანტთა შეფასების შემდეგი წესი და პირობები :

პოზიციისათვის: - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი:

ა) შეფასება - ზეპირი დავალება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ საკონკურსო პოზიციების შესაბამის სამართლებრივ აქტებში, ამ ოქმის დანართის 1-ით შესაბამისი თანამდებობისათვის განსაზღვრული საკონკურსო თემატიკიდან.

ბ) **თითეულ ზეპირ დავალებაზე** გამოყოფილი იქნება 10-15 წუთი, კონკურსანტს მიეცემა 5 ზეპირი დავალება (შეკითხვა/კაზუსი). თითოეული დავალება კომისიის მიერ შეფასდება უმაღლესი (max) 6 ქულიანი სისტემით. შეფასების ეტაპზე მაქსიმალური ჯამური ქულა განისაზღვროს 30 ქულით, ხოლო გადამლახავი ბარიერი min – 21 ქულა.

გ) კონკურსანტები, რომლებიც **ზეპირი დავალების** შესაძლო max - 30 ქულიდან ვერ მიიღებენ მინიმუმ გამსვლელ (min - 21 ქულა) ქულას, არ განიხილებიან და არ იქნებიან დაშვებული გასაუბრებაზე;

დ) გასაუბრება ჩატარდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ საკონკურსო პოზიციების შესაბამის სამართლებრივ აქტებში, ამ ოქმის დანართის 1-ით შესაბამისი თანამდებობისათვის განსაზღვრული საკონკურსო თემატიკიდან. გამსვლელი ბარიერია min – 21 ქულა. კონკურსანტები, რომლებიც შეფასების (გასაუბრება) ეტაპის შესაძლო max 30 ქულიდან ვერ მიიღებენ min – 21 ქულას არ განიხილებიან კონკურსის საბოლოო შედეგების შეჯამების ეტაპზე.

გასაუბრებაზე კონკურსანტი შეფასდება ინდივიდუალური (ზეპირი) გასაუბრების საფუძველზე ამ ოქმზე თანდართული **კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის** მიხედვით (დანართი №2).

თითეული კონკურსანტის გასაუბრების შეფასებისთვის გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის გამოსათვლელად კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტისთვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

თითეული კანდიდატისათვის გამოყოფილია მინიმუმ (min) 10-15 წუთი და შესაძლო დასმული კითხვების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით:

√ 4 შეკითხვა - სამართლებრივი აქტებიდან;

√ 3 შეკითხვა - უნარებიდან;

√ 3 დამატებითი შეკითხვა - (საჭიროებისამებრ);

კონკურსანტის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო/ვიდეო ჩაწერა.

გასაუბრება ჩატარდეს შემდეგ მისამართზე: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ. №3, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, II სართული, საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

12. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ გამოსაყენებელი შეფასების ფორმა დანართი №3, დანართი №4 და დანართი №5 - ის შესაბამისად.

კონკურსანტის მიერ კონკურსის **შეფასების ეტაპზე** მიღებული შეფასების ქულების შეჯამებით გამოითვლება კანდიდატის საერთო ქულა. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს უმაღლეს საერთო (ჯამურ) ქულას. იმ შემთხვევაში, თუკი თანაბარი უმაღლესი საერთო ქულა დააგროვა ერთზე მეტმა კონკურსანტმა, გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს უმაღლეს შეფასებას კონკურსის შეფასების ეტაპის (ტესტირება/წერითი და ზეპირი დავალება) ჯამური მაქსიმალური ქულის მიხედვით.

14. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების ეტაპზე (ტესტირება/წერითი დავალება) ან/და გასაუბრებაზე ვერცერთი კონკურსანტი ვერ გადალახავს დაწესებულ min ბარიერს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდეს.

15. კონკურსის შეფასების ეტაპზე რეგისტრაციის დროის განმავლობაში (ტესტირება/წერითი დავალების/გასაუბრების დაწყებამდე 1 (ერთი) საათის განმავლობაში) კონკურსანტის გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არა საპატიო) მონაწილე ფასდება 0 (ნული) ქულით.

16. კონკურსანტებს უფლება აქვთ საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ ოქმით გათვლისწინებულ ღია კონკურსის ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირება - მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით; მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზავნით და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.ge კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების გზით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: მუხრან სალაძე

კომისიის თავმჯდომარეს მოადგილე: სულიკო ჩხიკვაძე

კომისიის წევრები: ლია ბოლქვაძე

დავით ანანიძე

სოფიო ხაბაზი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი

თანამდებობის დასახელება: მეორე რანგი - საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება
პოზიციის დასახელება: საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი
კონკურსის ტიპი: დახურული კონკურსი.
ორგანიზაცია: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
კატეგორია: იურიდიული
განცხადების ბოლო ვადა: 10.05.2019
თანამდებობრივი სარგო: 1200 ლარი
ადგილების რაოდენობა: 1
სამსახურის ადგილმდებარეობა: ქედა, დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. №3
გამოსაცდელი ვადა:
ფუნქციები:
ა) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების საქმიანობის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;
ბ) საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა, სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმება, რედაქტირება;
გ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის დაბალი საშუალო პირების სამართლებრივი აქტების კოდიფიკაციას და სისტემატიზაციას, აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებრივი აქტების გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ;
დ) საკრებულოს თავმჯდომარის ან/და საკრებულოს ბიუროს დავალებით საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება, სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფა და სათანადო დასკვნების მომზადება;
ე) საკრებულოს სხდომებზე სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისას გამოთქმული და საკრებულოს მიერ მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვის უზრუნველყოფა, საკრებულოს სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების საბოლოო რედაქციის შემუშავება;
ვ) საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის უფროსის, საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების და აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეთა სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფა და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა;
ზ) უწევს მეთოდურ დახმარებას საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;
თ) საკრებულოს მიერ წინასწარ გაცემული წერილობითი მინდობილობის შესაბამისად, წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;
ი) საკრებულოს წევრებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების პირადი საქმეების წარმოების უზრუნველყოფა;
კ) საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე საკრებულოს წლიურ სამუშაო გეგმის პროექტის მომზადების უზრუნველყოფა;
ლ) უზრუნველყოფს სხდომაზე მიღებული ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამის პროგრამაში ატვირთვასა და გამოსაქვეყნებლად გადაგზავნას;
მ) საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
განათლება: უმაღლესი, მიმართულება: სამართალი, სპეციალობა: იურისტი.
სამუშაო გამოცდილება:
- სამართლის სფეროში მუშაობის 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება

დამატებითი მოთხოვნები:
- სამართლის სფეროში მუშაობის 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონფლიქტებისა და დავების მართვისა და გადაჭრის უნარი
- სამუშაოს ანალიზისა და სამუშაოს დიზაინის უნარი

- ინტერვიუს ჩატარების უნარი
- კადრის განვითარების, შეფასების, მოტივირების უნარი
- საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენების უნარი
- კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი
- ხარისხობრივი მონაცემების დამუშავების უნარი
- პრობლემების ანალიზის უნარი
- განსხვავებულ ამოცანებზე ერთდროულად მუშაობის უნარი
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ ეფექტიანი მუშაობის უნარი

საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) ევროპული ქარტია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";

გ) საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

დ) ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;

ე) ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;

ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ზ) საქართველოს შრომის კოდექსი;

თ) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი;

ი) „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №201 დადგენილება;

კ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №178 დადგენილება – ,,თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება";

შენიშვნა: მოცემული სამართლებრივი აქტები შეგიძლიათ იხილოთ ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.keda.ge

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება ცოდნის დონე

Microsoft Office Word კარგი

Microsoft Office Excel კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონკურსო კომისიის მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3 საკონტაქტო ტელეფონი: 595 50 62 51

საკონტაქტო პირი: მუხრან სალაძე

გადაწყვეტილების ფორმა და ვადა

კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემით, კონკურსის გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები:

განცხადების გადარჩევა;

შეფასება: ზეპირი დავალება, გასაუბრება.

კონკურსის შედეგების გამოცხადება

დამატებითი ინფორმაცია

ა) დახურული კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით და გულისხმობს შესაფერისი კანდიდატის შერჩევას მოქმედი მოხელეებიდან, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული მოხელეებიდან და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიდან. ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დახურულ კონკურსში, თუ იგი არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვაკანტურ პოზიციაზე მიიღება გამოსაცდელი ვადით, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს;

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია ატვირთოს:

- განათლებისა/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;
- შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი;
-სამართლის სფეროში მუშაობის 2 წლიანი სამუშაო გამოცდილების დამატასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით და უნდა იკითხებოდეს გარკვევით.
- ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატი არის მოქმედი პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირი, ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში;

- კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია.

გ) კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებს მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც განაცხადის (აპლიკაციების) გადარჩევის საფუძველზე, დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

დ) კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

ე) კონკურსის ზეპირი დავალების/გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიშვება აღნიშნულ ეტაპებზე.

ვ) კონკურსის ყოველი მომდევნო ეტაპის ჩატარების შესახებ (ზუსტი ადგილი, თარიღი, დრო) კონკურსანტებს ეცნობებათ მათ მიერ მითითებულ ელ. მისამართზე. ასევე, კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია კანდიდატებს შეუძლიათ იხილონ ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.ge

დანართი №2

კანდიდატის შეფასების მეთოდოლოგია

გასაუბრება-კონპეტენციებში და უნარებში ფასდება საქართველოს მთავრობის 26.04.2017 წ. #215 დადგენილების („პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“) დანართის და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სამუშაოს აღწერილობების შესაბამისად.

კანდიდატთან გასაუბრების შეფასება (კომპეტენცია, უნარები)- ხდება კომისიის თითოეული წევრის მიერ 30 ქულიანი (1-30) შკალის კომპონენტებით (ცხრილი 1), რომლითაც დგინდება დასაკავებელ თანამდებობასთან კანდიდატის შესაბამისობა.

თითოეული კანდიდატის საბოლოო ქულა-განისაზღვრება კომიიის ყველა წევრის მიერ (მინიმუმ 21-ქულა) კანდიდატისათვის მინიჭებული ქულათა საშუალო მაჩვენებლით.

ცხრილი 1

შეფასება	**გასაუბრება**-(კონპეტენცია, უნარები)-შეფასების კომპონენტები
1-3 ქულა	ვერ პასუხობ დასმულ კითხვებზე; კანდიდატმა ვერ გამოავლინა საკითხების ელემენტარული ცოდნა; ვერ მონაწილეობს დისკუსიაში; კანდიდატის კვალიფიკაცია სრულიად არადამაკმაყოფილებელია.
4 – 6 ქულა	პასუხი არასრული და არაზუსტია; კანონმდებლობის ცოდნე დაბალია; უჭირს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და აზრის ჩამოყალიბება; კანდიდატის კვალიფიკაცია არადამაკმაყოფილებელია.
7-9 ქულა	პასუხის გაცემა დაწყებულია არსებითი ხასიათის შეცდომებით; კანდიდატს შეუძლია მხოლოდ მწირი ინფორმაციის სწორად გადმოცემა; უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს/ საკანონმდებლო ტერმინოლოგია არსებითად მცდარია; კანდიდატის კვალიფიკაციის დონე დაბალია;
10 -12	სამსახურებრივ ინსტრუქციებს იცნობს არასრულყოფილად და ხარვეზებით; დასმულ კითხვებზე პასუხები ნაკლოვანი და არაზუსტია; ვერ იყენებს კანონმდებლობას და განმარტებები შეუსაბამოა; კანდიდატის კვალიფიკაციის დონე არ შეესაბამება მოთხოვნებს;
13-15 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები შეკვეცილია, უჭირს ანალიზი; ნაწილობრივ იყენებს კანონმდებლობას/განმარტებები არასათანადოა; ნაკლებად აქტიურია, მოსაზრებები და არგუმენტები არასრულია; კანდიდატის კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია;
16-18 ქულა	შეუძლია დასმულ კითხვებზე პასუხი, მაგრამ უჭირს მსჯელობა; შეუძლია აზრის გადმოცემა, თუმცა დისკუსიისას არ აქტიურობს; კანდიდატის კვალიფიკაცია საშუალო დონისაა; უჭირს კომპოტენციებისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა.
19-20	გააზრებით პასუხობს დასმულო კითხვებს; მსჯელობს ლოგიკურად, შეუძლია არგუმენტირება და აზრის დასაბუთება; კანდიდატის კვალიფიკაცია საშუალოზე მაღალი დონისაა; ვერ ახერხებს კომპოტენციებისა და უნარ-ჩვევების სრულ გამოყენებას
21-24 ქულა	აანალიზებს, ასაბუთებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს; ერთვება დისკუსიაში, მსჯელობს ზუსტად და ლოგიკურად; იცის სამსახურებრივი ინსტრუქციებთან დაკავშირებული მასალა; შეუძლია კომპოტენციებისა და უნარ-ჩვევების გამოყენება და წარმოჩენა.
25-27 ქულა	საფუძვლიანად ფლობს ინსტრუქციებს და კანონმდებლობას; მსჯელობს და აანალიზებს არგუმენტირებულად და ლოგიკურად; შეუძლია თავის წარმოჩენა, დასკვნების ლოგიკური არგუმენტაცია;

	აქტიურად ერთვება დისკუსიაში, კვალიფიკაციური და კომპეტენტურია; ინიციატივიანია და მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს დაწესებულების სტანდარტებს, შესაბამისი კანდიდატია.
28-30 ქულა	სიღრმისეულად ფლობს და იყენებს ინსტრუქციებს და კანონმდებლობას; ლოგიკურად და ამომწურავად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; აქტიურად ჩართულია დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; შეუძლია მოსაზრებების დასაბუთება და არგუმენტირებული დაცვა; შემოქმედებითი, ინიციატივიანი და მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს დაწესებულების სტანდარტებს, შესაბამისი კანდიდატია.

კანდიდატების შეფასების ფორმა :
(ზეპირი დავალება)

№	კანდიდატის სახელი, გვარი	ვაკანსიის დასახელება	შეფასების ქულა	შენიშვნა
1				
2				

კომისიის თავმჯდომარე ----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

თარიღი: ----------

დანართი №4

კანდიდატთა საკონკურსო ქულების ფორმა:
(გასაუბრება)

№	კანდიდატის სახელი, გვარი	ვაკანსიის დასახელება	შეფასების ქულა	შენიშვნა
1				
2				

კომისიის წევრის ხელმოწერა: ---------- თარიღი: ----------

დანართი №5

კანდიდატების საბოლოო შეფასების ფორმა :

№	კანდიდატის სახელი, გვარი	ვაკანსიის დასახელება	შეფასების (ჯამური) ქულა		შეფასების საერთო (ჯამური) ქულა	შენიშვნა
			ზეპირი დავალება	გასაუბრება		
1						
2						

კომისიის თავმჯდომარე ----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

კომისიის წევრი ----------

თარიღი: ----------